11/11/2020

11 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენებს IX საუკუნის წმინდა მამას, ზარზმის მონასტრის დამაარსებელსა და პირველ წინამძღვარს, ღირს სერაპიონ ზარზმელს



ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერაპიონ, ქრისტესა ევედრე აწ გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობისათვის, მშვიდობისა და დიდი წყალობისათვის!

11 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენებს IX საუკუნის წმინდა მამას, ზარზმის მონასტრის დამაარსებელსა და პირველ წინამძღვარს, ღირს სერაპიონ ზარზმელს.

„დაიმარხეთ ყოვლისა პირველად სიყუარული ღმრთისა და მოყუსისა, ვითარცა თავი სჯულისა და წინასწარმეტყველისა;
მარადის ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა, რამეთუ ლოცვა

მიმაახლებელი არს ღმრთისა და ბჭე სასუფეველისა, შემაერთებელი ანგელოზთა და დამცემელი ეშმაკთა.

რამეთუ წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ლოცვა თქუეს საჭურველად, მარხვა – ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი – საბანელად, ხოლო მორჩილება – წამებად, რომელი ესე ღუაწლითშემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხეველად სისხლთა გვირგვინოსან ჰყოფს
კაცსა“.

ღირს სერაპიონ ზარზმელის მიერ აღსასრულის წინ წარმოთქმული სიტყვიდან

— facebook.com/sap.uwyebaNews